საქართველოს მთავრობის განკარგულება

№902 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურზე (შემდგომში - სამსახური) არ გავრცელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ სამსახურში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს არა უმეტეს 1 525 (ერთი ათას ხუთას ოცდახუთი) ლარით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**